

ა. ფრანგიშვილი, ლ. იმნაიშვილი, გ. ვერულავა
ტექნოლოგიური პროცესის მონიტორინგის პრაკიული მეთოდი სისტემა

რეზიუმე

სტატიაში შემოთავაზებულია ტექნოლოგიური პროცესის მონიტორინგის სისტემის აგების ერთი კონცეპცია. მონიტორინგის სისტემა აიგება პერსონალური კომპიუტერისა და მიკროპროცესორული კონტროლერების ბაზაზე.

1. შესავალი

მონიტორინგის კომპიუტერული სისტემა დანიშნულია წევალმომარაგების სისტემის ტექნოლოგიური აგრეგატების და უზრუნველყოფის საშუალებების საექსპლოატაციო კონტროლისა და დიაგნოსტიკის პროცესების ავტომატიზაციისათვის, კერძოდ:

- აგრეგატების ტემპერატურული კონტროლისათვის;
- აგრეგატების მკებავი ძაბვის სიხშირის კონტროლისათვის;
- აგრეგატების ელექტრული პარამეტრების კონტროლისათვის;
- რელეური დაცვის და დისკრეტული პარამეტრების კონტროლისათვის;
- გაზომილი და რეგისტრირებული პარამეტრების დახარისხებისა და შენახვისათვის;
- მონაცემთა არქივირებისათვის და ძებნის უზრუნველყოფისათვის;
- მომსახურე პერსონალის საცნობარო გზითაღური და ხმოვანი სიგნალებით უზრუნველყოფისათვის;
- მომსახურე პერსონალის ყურადღების კონტროლისათვის.

2. ძირითადი ნაწილი

მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს მიკროპროცესორული კონტროლერების და პერსონალური კომპიუტერების ბაზაზე აგებულ დასრულებულ სისტემას.

მონიტორინგის სისტემის ზოგადი სტრუქტურა წარმოდგენილია ნახ.1-ზე. სისტემა მოიცავს ლოკალურ ქსელში გაერთიანებულ ორ პერსონალურ კომპიუტერს მასზე ინსტალირებული პროგრამული პაკეტებით, ადაპტერს RS-232/RS-485 და მონიტორინგის კონტროლერებს (მოკ).

მონიტორინგის კომპიუტერი სისტემისათვის არის წამყვანი. მისი საშუალებით ფუნქციონირებს მოკ-ების ერთობლიობა და საინჟინრო სადგური. მონიტორინგის კომპიუტერის საშუალებით ხდება მოკ-ების გამოყითხვა და მონაცემების დაგროვება. მორიგე-ოპერატორი ამ კომპიუტერის საშუალებით აკვირდება მიმდინარე მოვლენებს. ამავე კომპიუტერით ხდება მორიგე-ოპერატორის ინფორმირება მოპოვებული მონაცემების დანაყენებიდან გადახრის შესახებ. სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მონიტორინგის კომპიუტერი იყოს მუდმივად მზადყოფნაში და მისი გამორთვა არ შეიძლება. მონიტორინგის კომპიუტერით არქივებში შესვლა და გასული მონაცემების დათვალიერება არ ხდება.

ამრიგად მონიტორინგის კომპიუტერის დანიშნულებაა:

- სისტემის აპარატურული ნაწილის (საინჟინრო სადგური და მოკ-ები) კოორდინირება;
- მონაცემების მოგროვება მოკ-ებიდან;
- ოპერატორის მიერ ტექნოლოგიურ კონტროლზე ოპერატიული დაკვირვება;
- ბოლო 72 სთ-ის არქივების დათვალიერება;
- იშვიათ შემთხვევაში სისტემის ადმინისტრირება (საინჟინრო სადგურის რეზერვი. შედწევადია მხოლოდ პაროლით);
- პერსონალის ყურადღების კონტროლი.


საინჟინრო სადგურის დანიშნულებაა:

- ტექნოლოგიურ კონტროლზე ოპერატიული დაკვირვება;
- სისტემის ადმინისტრირება (შედწევადია პაროლით);
- სისტემის არქივებში შესვლა და მონაცემების დათვალიერება;
- მონაცემების ბეჭდვა.

საინჟინრო სადგური დანიშნულია სისტემის ადმინისტრირებისათვის. მისი დანიშნულებიდან გამომდინარე იგი არ უზრუნველყოფს დანაყენებიდან გადახრების შეტყობინებებს და ამდენად საჭიროების შემთხვევაში მისი გამორთვა შესაძლებელია. ამრიგად სისტემის ოპერატიული ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საინჟინრო სადგურის "ცხელ" მდგომარეობაში არსებობა აუცილებელი არა.

სისტემის ფუნქციონირებაში მონიტორინგის კომპიუტერს უჭირავს წამყვანის როლი (Master), ხოლო მოკებელს და საინჟინრო სადგურს – მიმყოლის (Slave). მონიტორინგის კომპიუტერი თანმიმდევრობით გამოკითხავს მოკებელს, მიღებს მათგან მონაცემებს და განალაგებს საჭირო ფანჯრებში, აკეთებს მათ დამუშავებას და არქივირებას. საჭირო შემთხვევაში ხდება მომხმარებლის ინფორმირება ვიზუალური და ხმოვანი სიგნალებით.

პროგრამული გარსი განვითარებილია მონიტორინგისა და საინჟინრო სადგურის კომპიუტერების ლოკალურ ქსელში სამუშაოდ. ამდენად გამოყენებული პროგრამული გარსი შედგება ორი პაკეტისაგან. ეს პაკეტები მათი დანიშნულებიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან განსხვავდება.



6ახ.1

კონსტრუქციულად მოკებელი წარმოადგენენ პლასტმასის დახურულ ყუთებში განლაგებულ მიკროპროცესორულ მოწყობილობებს.

მოკე-1, 2 განვითარებილია აგრეგატების ტემპერატურული კონტროლისათვის. ამავე მოკე-ით კონტროლდება საკომპიუტერო გამტარი. მოკე-1, 2 აღჭურვილია ერთი თრიჯეროვანი შუქდიოდით. ასეთი შუქდიოდი აქ და სხვა მოკებებში გამოიყენება კვების მიწოდებისა და მოკე-ზე კომპიუტერის მიერ მიმართვის ინდიცირებისათვის. თუ შუქდიოდს მწვანე ფერი აქვს, ნიშნავს რომ მოკე-ის კვება ჩართულია, თუ – წითელი, მაშინ მასზე ხდება კომპიუტერით მიმართვა. მოკე აღჭურვილია ერთი ათასობის დისპლეით და ლილაკით. დისპლეიზე აისახება საკონტროლო წერტილის ნომერი 1-

დან 18-ის ჩათვლით და მიმდინარე ტემპერატურა ამ წერტილში. საკონტროლო წერტილის "გადაფურცელისათვის" გამოყენება დიღაკი.

მოკ-3 განკუთვნილია სამი აგრეგატის მკებავი ძაბვის სიხშირის კონტროლისათვის, ამიტომ აღჭურვილია სამი ორფეროვანი შუქდიოდით და სამი დისპლეით. დისპლეიზე აისახება დენის სიხშირე მეასედი პც-ის სიზუსტით.

მოკ-4 განკუთვნილია დისკრეტული პარამეტრების კონტროლისათვის. საკონტროლო პარამეტრები აიღება აგრეგატების რელეური დაცვის საკონტროლო კონტაქტებიდან ("მშრალი კონტაქტი"). მოკ-4 აღჭურვილია აღჭურვილია მხოლოდ ერთი ორფეროვანი შუქდიოდით.

მოკ-5 განკუთვნილია სამი აგრეგატის ელექტრული პარამეტრების კონტროლისათვის. მოკ-5-ის მიერ იზომება A ფაზის ძაბვა, დენი და ფაზათა ძვრა, რომელიც მომხმარებლისათვის საჭირო სახეს იდებს კომპიუტერში. უშუალოდ იზომება დენის შუნტზე და ძაბვის ტრანსფორმატორებზე ძაბვები ვოლტებში და ფაზათა ძვრა გრადუსებში. ეს პარამეტრები აისახება მოკ-5-ის დისპლეიზე.

მონიტორინგის სისტემა შეიძლება დაკომპლექტდეს სხვადასხვა დანიშნულების და რაოდენობის მოკ-ებით, რომელთა რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 32-ს. პროგრამული პაკეტების ინტერფეისი აგებულია მომსახურე პერსონალისათვის გასაგები მართვის ფარისათვის დამასასიათვებელი ტრადიციული სიმბოლოების გამოყენებით. შემოთავაზებული მონიტორინგის სისტემა წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული მსგავსი პარამეტრების მქონე სხვა ტექნოლოგიური პროცესებისთვისაც.

Прангишвили А.И., Имнаишвили Л.Ш., Верулава Г.И.

КОМПЬЮТЕРНАЯ СИСТЕМА МОНИТОРИНГА ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА

Резюме

В статье предложена одна концепция построения системы мониторинга технологического процесса. Система мониторинга строится на базе персонального компьютера и микропроцессорных контроллеров.

A. Prangishvili, L. Imnaishvili, G. Verulava

COMPUTER SYSTEM FOR MONITORING OF TECHNOLOGICAL PROCESS

Summary

In the article one concept of construction of system for monitoring of technological process is offered. The system of monitoring is created on the basis of a personal computer and microprocessor' controllers.